



ბარემოს დაცვისა და  
ბუნებრივი რესურსების  
სამინისტრო

2007 წლის ანგარიში

## სამინისტროს მისია და სტრატეგიული მიმართულებები

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მისიას მდგრადი ბუნებათსარგებლობის პრინციპების დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს.

სამინისტროს მიერ დასახული მისიის განხორციელების უზრუნველსაყოფად განსაზღვრული იქნა განსახორციელებელ რეფორმათა შემდეგი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები:

- ✓ ინსტიტუციური რეფორმის განხორციელება;
- ✓ გარემოს დაცვის სისტემის სრულყოფა;
- ✓ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სისტემის სრულყოფა;

2007 წელს განხორციელებულ საქმიანობათა ხასიათისა და კურსის განმსაზღვრელად შეიძლება ჩაითვალოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის გატარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. შესაბამისად, განხორციელებული ღონისძიებები ორიენტირებული იყო 2007 წლისათვის დადგენილი პრიორიტეტების განხორციელებასა და დაგეგმილ რეფორმათა პრაქტიკულ რეალიზებაზე.


### ინსტიტუციური რეფორმა

სისტემის მოქნილი და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, 2007 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში განხორციელდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები. სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხა განისაზღვრებოდა 194 ერთეულით. 2007 წლის 1 ნოემბრიდან სამინისტროს ცენტრალურ აპარატში განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად დარჩა 158 ერთეული. განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

- სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება–სატყეო დეპარტამენტში, განხორციელდა რეორგანიზაცია. შეიქმნა ცხრა ტერიტორიული ორგანო–რეგიონალური სატყეო სამმართველოები, შესაბამისი სატყეო უბნებით.
- გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის ეფექტურობის ამაღლების მიზნით “გარემოს დაცვის სამსახურის შესახებ” კანონპროექტის შესაბამისად 2008 წლიდან სამინისტროს სისტემაში გათვალისწინებულია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – საგამოძიებო დეპარტამენტისა და გარემოს დაცვის ინსპექციის, ასევე ბირთვული და რადიაციული სამსახურის ბაზაზე “გარემოს დაცვის სამსახურის” ჩამოყალიბება. სამსახური განახორციელებს

გარემოს დაცვის სფეროში როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სისხლის სამართლის საქმის წარმოებას, რაც უზრუნველყოფს ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო ქმედებების დროულ, ეფექტურ გამოძიებასა და აღკვეთას. მასვე დაეკისრება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება.

- სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება–დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის ბაზაზე 2008 წლიდან ჩამოყალიბდება "დაცული ტერიტორიების სააგენტო", სადაც გაერთიანებული იქნება ყველა ტერიტორიული ორგანოები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები.



## ატმოსფერული ჰაერის დაცვა

საქართველოს მასშტაბით დადგინდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე ნორმირებას დაქვემდებარებული სტაციონარული წყაროების ჩამონათვალი.

დადგინდა მაჩვენებლები, მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევების როგორც ჯამური, ასევე თითოეული მაგნე ნივთიერების მიხედვით რეგიონების, ქალაქების და ძირითადი მსხვილი დამაბინძურებელი ობიექტების მიხედვით.

“ლიცენზიების და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყენის მიზნით მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი “ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლელელებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”, რომელმაც გაიარა პირველი მოსმენა საქართველოს პარლამენტში.

შემუშავებულ იქნა “ატმოსფერულ ჰაერში მაგნე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების წესის შესახებ” დებულების პროექტი, რომელიც შეადგენს “გარემოსთვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების წესის შესახებ” დებულების შემადგენელ ნაწილს.

მომზადდა მთავრობის დადგენილების პროექტი “ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ” დებულების შესახებ.

“ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ” მონრეალის ოქმის ფარგლებში მოეწყო სემინარი მებაჟეებისთვის ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ და მებაჟეებს გადაეცათ შესაბამისი საინფორმაციო ლიტერატურა.

ნორვეგიის მთავრობამ, 2007 წელს, ორმხრივი დახმარების ფარგლებში, საქართველოში (აბასთუმანი) დააფინანსა ევროპული დონის დაკვირვების სადგურის მოწყობა. პროექტი მოიცავდა სადგურისთვის შესაბამისი ადგილის განსაზღვრას, აღჭურვილობის შექმნას, ჩამოტანას და ადგილზე დამონტაჟებას, ასევე დამკვირვებელთა ტრენინგს და მათ მეთოდოლოგიურ დახმარებას. დაკვირვებების წარმოება დაიწყო ამა წლის ოქტომბრის თვიდან.

2007 წელს სამინისტროს მიერ შემუშავდა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები, რომლებიც ხელმოწერილ იქნა შემდეგ საწარმოებთან:

1. სს ”მადნეული”,
2. შპს ”ბათუმი ოილ ტერმინალი”,
3. ბათუმის საზღვაო ნავსადგური,
4. “HeidelbergCement Georgia”:
  - სს ”კასპიცემენტი”;
  - სს ”რუსთავცემენტი”

## წყლის რესურსების დაცვა

წყლის რესურსების მართვა საქართველოში ხორციელდება მოქმედი 14 კანონისა და 30-მდე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა ხორციელდება სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგების ფორმით №04-I-1, რომლის შევსების და წარდგენის ინსტრუქცია დამუშავებულია "წყლის შესახებ" და "სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონების მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში და დამტკიცებულია სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ. აღნიშნული ფორმების საფუძველზე დგება საქართველოში ყოველწლიური წყალსარგებლობის ძირითადი მაჩვენებლების კრებული. აგრეთვე წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა წარმოადგენს სახელმწიფო წყლის კადასტრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძირითად შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად მომზადდა:

801 წყალმოსარგებლე ობიექტიდან წარმოდგენილი წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმების საფუძველზე გამოიცა "საქართველოში 2006 წელს წყალსარგებლობის ძირითადი მაჩვენებლების სტატისტიკური ანგარიშგების კრებული", რომელიც წარედგინა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს.

მომზადდა 2006 წლის ანგარიში "შავი ზღვის საერთაშორისო კომისიისათვის", კომისიის მიერ დადგენილ ფორმატში;

"წყლის შესახებ" საქართველოს კანონის, 84-ე მუხლის თანახმად, განხილული და შეთანხმებული იქნა 222 წყალმოსარგებლე ობიექტის, მათ შორის 122 ჩამდინარე წყალთან ერთად ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმებისა და 100 წყალაღებაზე ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი პროექტი.

განხილულ იქნა და მომზადდა დასკვნები შემდეგ პროექტებზე:

- – BP-ის მიერ გარემოსდაცვითი კუთხით შემუშავებულ "შავ ზღვაში ნავთობის დაღვრის (ყულევის ტერმინალი) ლიკვიდაციის გეგმა"-ზე;
- – კურორტების წყალტუბოს, შოვისა და ურეკის სანიტარიული დაცვის ზონებზე;
- – იაღლუჯის ნაგავსაყრელზე ჩამდინარე წყლების ეკოლოგიური ასპექტების შეფასებაზე;
- – შავი ზღვის გარემოსდაცვითი თანამშრომლობის "საწყისი ეტაპის ანგარიშზე";
- – ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაზე;
- – ქ. ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშზე;
- – სს "მადნეულის" ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშზე.

შემუშავებულ იქნა წყლის სააუზო მართვის კანონპროექტი.

შემუშავებულ იქნა ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვებაზე ახალი ტექნიკური რეგლამენტები. სამინისტრო მონაწილეობდა

საქართველოს წყლის ეროვნული კადასტრის ფარგლებში ერთიან მონაცემთა ბაზის შექმნაში.

## **ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვა**

- მომზადდა სათანადო მასალები საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად როტერდამის კონვენციის მიერთებასთან დაკავშირებით.
- შემუშავდა მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტი და მთავრობის დადგენილების პროექტი. პროექტი გრძელვადიანია და მოიცავს სავარაუდოდ 15 წელს.
- მომზადდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელების ტექნიკური რეგლამენტის პროექტი ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად. მიმდინარეობს განხილვა.
- განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ინვენტარიზაცია მათი კატეგორიებისა და ტიპების მიხედვით.
  - საყოფაცხოვრებო
  - სამრეწველო
  - სამედიცინო
  - ბიოლოგიური

ინვენტარიზაციის მასალები მოიცავს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული და ყოველწლიურად წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის, განთავსების, გადამუშავებისა და გაუვნებელყოფის შესახებ სათანადო ინფორმაციას. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა მონაცემთა ბაზა და გეოინფორმაციული სისტემა, რომელიც განთავსდა სამინისტროს ვებგვერდზე. არსებული მონაცემების ბაზაზე შემუშავდება ნარჩენების მართვის სტრატეგია ეროვნული სამოქმედო პროგრამის პროექტი.

## **ვადაგასული პესტიციდების უსაფრთხოდ განთავსების სახელმწიფო პროგრამა**

2007 წლის სამინისტროს ბიუჯეტში გათვალისწინებული პროგრამის “საქართველოში არსებული ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების შეგროვება, ხელმეორედ შეფუთვა და დროებით უსაფრთხოდ განთავსების” ფარგლებში განხორციელდა ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლისა და იმერეთის რეგიონებში არსებული ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების შეგროვებისა და დროებითი უსაფრთხოდ განთავსების ღონისძიებები. თორმეტივე ობიექტიდან 50 ტ-მდე ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდი შეგროვებული, შეფუთული და განთავსებული იქნა დროებით სოფ. ბადიაურის სპეციალურ საწყობში. დაბინძურებული ობიექტებზე მოგროვდა 150 ტ-მდე პესტიციდებით დაბინძურებული გრუნტი და

განთავსდა იაღლუჯის შხამქიმიკატების სამარხის ერთ-ერთ უბანზე, ამ მიზნით სპეციალურად მოწყობილ სამარხში, ხოლო პესტიციდების და პესტიციდებით დაბინძურებული გრუნტის გატანის შემდეგ თორმეტივე ობიექტზე ჩატარდა დეზაქტივაციის სამუშაოები.

სამინისტროს თანამშრომელთა მონაწილეობით, ნაგავსაყრელის მოწყობის მიზნით, ქურთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ სოფელ ხეთის მიდამოებში შეიჩა მიწის ფართობი.

2007 წელს საქართველო მიუერთდა როტერდამის კონვენციას “საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ”.

საქართველოში მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების პრობლემასთან დაკავშირებით ორგანიზებულ იქნა ევროკომისიის მიერ ინიცირებული სამუშაო შეხვედრა კავკასიის რეგიონის ქვეყნების წარმომადგენლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (UNEP, FAO, GTZ) წარმომადგენლების მონაწილეობით. აღნიშნული შეხვედრის ფინანსური მხარდამჭერ ორგანიზაციას წარმოადგენდა TAIEX, რომელიც ანხორციელებს ევროკომისიის ინიციატივების დაფინანსებას ევროპის მეზობელი ქვეყნებისათვის.

### **ვადაგასული პესტიციდების უსაფრთხოდ განთავსების პროგრამა ჰოლანდიის მთავრობის ფინანსური ხელშეწყობით**

ჰოლანდიის არასამთავრობო (MILIEUKONTAKT) ორგანიზაციასთან ერთად, მიმდინარეობს მუშაობა, კახეთის რეგიონში არსებული გარემოს დაბინძურების წყაროების – ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების შეგროვება, შეფუთვა, დროებით უსაფრთხო დასაწყობების პროექტზე, რომელსაც აფინანსებს ჰოლანდიის მთავრობა. საანგარიშო პერიოდში შესრულებულ იქნა შემდეგი სამუშაოები: შეჩვენდა იქნა ვადაგასული პესტიციდების შეგროვების სამუშაოებისათვის სამუშაო ჯგუფი და ჩატარებულ იქნა ტრენინგი. შეჩვენდა იქნა საწყობი ვადაგასული პესტიციდების უსაფრთხოდ განსათავსებლად. შემუშავებულ იქნა საწყობის ტექნიკური მოთხოვნები. მომზადდა ვადაგასული პესტიციდების ხელშეკრულების პროექტი სამინისტროსა და განმხორციელებელ ორგანიზაციას შორის. დაიდო კონტრაქტი სამშენებლო კომპანიასთან და მიმდინარეობს შენობის სარემონტო სამუშაოები ტექნიკური პირობების შესაბამისად. ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკება სატრანსპორტო კომპანიასთან ნარჩენების გადაზიდვასთან დაკავშირებით.

## **ბიომრავალფეროვნების დაცვა**



- მომზადდა კონცეფცია პროექტისთვის „საქართველოში ნადირობის სექტორთან დაკავშირებით საბაზისო კვლევა და რეფორმისათვის რეკომენდაციების შემუშავება“ და წარდგენილი იქნა FAO-ში.
- მომზადდა კონცეფცია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებით.
- მიმდინარეობს მუშაობა „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ზოგიერთ სახეობაზე (ჯიხვი, ირემი, დათვი) სატროფო/ტრადიციული ნადირობის დაშვების შესაძლებლობის განსაზღვრისა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების საკითხზე.
- მომზადდა და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის №18 დადგენილებით დამტკიცდა დებულება “გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ” კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ”. შემუშავდა და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა შესაბამისი ნებართვის ფორმა.
- CITES-ის სამდივნოსთან მჭიდრო კონსულტაციებით შემუშავდა საპროექტო წინადადება „საქართველოში CITES-ის მოთხოვნების დანერგვის გაძლიერება თეთრყვავილასა და ყოჩივარდასთან მიმართებაში“. ამჟამად კონვენციის სამდივნოდან მიღებულია პროექტის განხორციელების თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმი ხელმოსაწერად. პროექტი ფინანსდება ნიდერლანდების მთავრობის გრანტით, მისი ღირებულებაა 24 300 აშშ დოლარი, პროექტის განხორციელება გათვალისწინებულია 2008 წლის ივნისის ჩათვლით პერიოდში. პროექტი ითვალისწინებს მცენარეთა რესურსის შეფასებას, კვლევის დადგენას, მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებას, ხელშეწყობას მოშენების სახელმძღვანელოს შემუშავებას.
- საბაჟო დეპარტამენტისთვის მზადდება CITES-ის დანართებში შეტანილი, საქართველოში გავრცელებული სახეობების ელექტრონული ვერსია.  
სამინისტროს ბიომრავალფეროვნების სამსახური მუშაობს ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთი საზღვაო ტერმინალის მშენებლობის გამო ცენტრალური კოლხეთის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიის საზღვრების ცვლილების კომპენსირების საკითხებზე. განხილული იქნა შპს “შავი ზღვის ტერმინალის” მიერ წარმოდგენილი ანგარიში “მდინარე ხობისწყლის შესართავში ნავთობპროდუქტების გადასატვირთი საზღვაო ტერმინალის” პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით ცენტრალური კოლხეთის საერთაშორისო მნიშვნელობის წყალჭარბი ტერიტორიის შესაძლო შეზღუდვის საკომპენსაციო პაკეტის მომზადება (ყულევის ტერმინალი)”. განხორციელდა შერჩეული საკომპენსაციო ტერიტორიების ადგილზე დაზუსტების სამუშაოები, მოძიებულ იქნა საჯარო რეესტრის მონაცემები საკომპენსაციო ტერიტორიებზე მიწათსარგებლობის შესახებ.

საკომპენსაციო ღონისძიების სახით, კოლხეთის ეროვნულ პარკს შეუერთდა ეწერა-დისაგუქუბასა და მის სამხრეთ დასავლეთით მდებარე ტყით დაფარული ტერიტორია 1282 ჰა. მიმდინარეობს მუშაობა საკომპენსაციოდ შერჩეული მეორე ტერიტორიის – ჭოროხის დელტის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების ნუსხაში შესატანად.

“აფრიკა-ევრაზიის გადამფრენი წყალმცურავი ფრინველების შესახებ შეთანხმების” (AEWA) სამდივნოს გადაეგზავნა ინფორმაცია და შეესებულებული კითხვარები:

1. “აფრიკა-ევრაზიის გადამფრენი წყალმცურავი ფრინველების შესახებ შეთანხმების” II დანართის სახეობებზე ნადირობასთან და გაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესახებ”.

2. “ტყვიაშემცველი ტყვია-წამლით ნადირობის შესახებ ჭარბტენიან ტერიტორიებზე”.

სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით გაცემული ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის ლიცენზიების მფლობელთა მიერ წარმოდგენილი მასალების განხილვის საფუძველზე, შპს „იორის ჭალებს“, შპს „დალის მთას“ (სამონადირეო და თევზის მეურნეობებისთვის), შპს „შევარდენს“ დაუმტკიცდათ ცხოველთა სამყაროს ობიექტების მოპოვების წლიური კვოტები, მათ შორის „დალის მთას“ და „შევარდენს“ თევზის რესურსით სარგებლობისათვის.

## გარემოს დაცვის ინსპექცია

2007 წელს ინსპექციის მიერ გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 5 289 ფაქტი. მათ შორის:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის – 4 591 ფაქტი;
- სისხლის სამართლის ნიშნების მქონე – 698 ფაქტი, რომლებიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნათ სამართალდამცავ ორგანოებს, ბოლო თვეების მანძილზე - სამინისტროს ახლადშექმნილ საგამოძიებო დეპარტამენტს.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების განხილვის შედეგად სამართალდამრღვევებზე დაკისრებულმა საჯარიმო თანხამ შეადგინა 1 640 034,0 ლარი. აქედან, მიმდინარე მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტში უკვე გადახდილია 646 408,6 ლარი;

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანის თანხამ შეადგინა 6 222 126,3 ლარი, მათ შორის:

- სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტებზე – 5 253 118,5 ლარი;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებზე – 969 007,7 ლარი.

დაკისრებული თანხების ამოღება მიმდინარეობს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.

გატარებული ღონისძიებების შედეგად დაფიქსირდა უკანონოდ მოპოვებული რესურსი:

- ხე-ტყე 12 500,9 მ<sup>3</sup>, მათ შორის 7 834,2 მ<sup>3</sup> – სამასალე, 4 509,7 მ<sup>3</sup> – საშეშე მერქანი;
- სხვადასხვა სახეობის თევზი - 61 271,7 კგ (მათ შორის 46 651,0 კგ. შავი ზღვის ქაფშია);
- ინერტული მასალა - 394 მ<sup>3</sup>;
- საგაჯე მასალა – 85 ტ;
- ბაზალტის ქვა – 79 მ<sup>3</sup>;
- სილიკომანგანუმის წილა - 1 529 მ<sup>3</sup>; 26,84 ტ;
- მარგანეცის ნედლი მადანი - 93 ტ;
- მიწის ნაყოფიერი ფენა - 105,5 მ<sup>3</sup>;
- მწვერი – 70 ცალი და სხვა.

სსიპ საფინანსო სააგენტოს შემდგომი განკარგვის მიზნით გადაეგზავნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებისათვის ჩამორთმეული ქონება (უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსი, სამართალდარღვევის იარაღი), მათ შორის:

ბუნებრივი რესურსი		სამართალდარღვევის საშუალებები	
სამასალე მერქანი	524,3 მ <sup>3</sup>	სხვადასხვა ტიპის ბადე-იარაღი	264 ერთეული
საშეშე მერქანი	1208,6 მ <sup>3</sup>	ნავი	38 ერთეული
დახერხილი ფიცარი	176 ერთეული	სანადირო თოფი	14 ერთეული
სამასალე მორი	71 ერთეული	ანკესი	11 ერთეული
საშეშე ძირი ხე	168 ერთეული	ელექტროშოკური აპარატი	2 ერთეული
სამასალე ძირი ხე	5 ერთეული	აკუმულატორი და სხვა ელექტრო მოწყობილობა	55 ერთეული
თევზი, სხვადასხვა ჯიშის	124 კგ.		
შავი ზღვის ქაფშია	46,65 ტ.		
ბაზალტის ქვა	35 მ <sup>3</sup>		
ნახშირი	0,2 ტ.		
ინერტული მასალა	394 მ <sup>3</sup>		

2007 წელს განხორციელდა წიაღით სარგებლობის ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის შემოწმება 50 წიაღითმოსარგებლის მიმართ. შემოწმებულ იქნა 14 სამონადირეო მეურნეობა, 45 ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიანტი.

ბუნებათმოსარგებლე ლიცენზიანტების მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების შესახებ 2006 წლის ანგარიშების

წარმოდგენლობის გამო 599 ლიცენზიანტი ბუნებათმოსარგებლის მიმართ გატარებული იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო ზომები, მათ შორის:

- 327 ხე-ტყის დამზადების ლიცენზიანტის მიმართ;
- 259 წიაღით მოსარგებლე ლიცენზიანტის მიმართ;
- 13 ცხოველთა სამყაროს ობიექტებით მოსარგებლე ლიცენზიანტების მიმართ.

შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის მიერ ნარჩენების აღრიცხვის, შეფასების და უტილიზაციის მიზნით შემოწმებულ იქნა ბათუმისა და ფოთის საზღვაო ნავსადგურებში შემოსული 308 მცურავი საშუალება. სახომალდო დოკუმენტებში მავნე ნივთიერებებსა და მინარევებთან დაკავშირებული ოპერაციების რეგისტრაციის მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის 31 მცურავი საშუალების პასუხისმგებელ პირთა მიმართ გატარებულ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ზომები (ასკ 59-ე მუხლის შესაბამისად).

კონვენციური ინსპექციის მიერ წარმოებდა კონტროლი შავ ზღვაში თევზჭერის პროცესების მიმდინარეობაზე. შავი ზღვის აკვატორიაში განხორციელებული რეიდების შედეგად ამოღებულ იქნა 132 ერთეული ჩასადგმელი სახლართი ტიპის ბადე, 2 ნემსკავიანი იარაღი.

## დაცული ტერიტორიები

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს მუშაობა მიმდინარეობდა დაცული ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ეკოტურიზმის განვითარების მიზნით.

2007 წლის 1 თებერვალს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი ოფიციალურად გამოცხადდა ევროპის დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელის (PAN Parks) სრულუფლებიან წევრად და გადაეცა შესაბამისი სერთიფიკატი;

თბილისში მოეწყო მე-9 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა, რომელზეც დაცული ტერიტორიების დეპარტამენტს გადაეცა სერთიფიკატი სტენდის საუკეთესო დიზაინისათვის.

შეიქმნა დეპარტამენტის, ბაწარა-ბაბანეურისა და თუშეთის დაცული ტერიტორიების ვებ-გვერდი;

მედია-ტურები მოეწყო ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, კოლხეთის ეროვნულ პარკში, ლაგოდეხის და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე.

პან-პარკების ორგანიზაციის ინიციატივით და ტურიზმის დეპარტამენტის მხარდაჭერით, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკსა და ლაგოდეხის

დაცულ ტერიტორიებზე, მოეწყო საერთაშორისო მედიის წარმომადგენლების პრეს-ტური; საინფორმაციო-სარეკლამო მასალები საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ გავრცელებულია ტურიზმის დეპარტამენტის ხელშეწყობით სხვადასხვა საერთაშორისო ბაზრობებზე: ნორვეგიის – “Reiseliv”, ფინეთის – “Matka”, ესპანეთის – “Futur”, ისრაელის – “Imtm”, თურქეთის – “Emitt”, იტალიის – “Globeo”, გერმანიის – “ITB” და უკრაინის – “UITT” ტურისტული გამოფენები;

მომზადდა თბილისის ეროვნული პარკისა და ალგეთის ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები დაფინანსების მოპოვების მიზნით.

მომზადდა დაცული ტერიტორიებზე არსებული მერქნიანი მცენარეების სახეობების ინვენტარიზაციის ერთიანი დოკუმენტი; კოლხეთის დაბლობის დაცულ ტერიტორიებზე, გერმანიის გრაისვალდის ბოტანიკის ინსტიტუტის დოქტორანტის მიერ ხორციელდება სამუშაოები სადოქტორო თემაზე “კოლხეთის დაბლობზე სფაგნუმის მოშენების პერსპექტივები”;

მომზადდა პალიასტომის ტბის თევზების სარკვევის მასალა და დაგეგმილია აღნიშნული ბროშურის გამოცემა;

შემუშავებულია პროექტი ჯეირნის რეინტროდუქციის შესახებ; საქართველოში (ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე) აზერბაიჯანიდან ჯეირნის შემოყვანასთან დაკავშირებით გაფორმდა წინასწარი შეთანხმება აზერბაიჯანის გარემოს დაცვის სამინისტროსთან და მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა.

სამთო-მეტეოლოგიის ინსტიტუტის მიერ აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალში განხორციელდა პათოლოგიური გამოკვლევები, რის შედეგად დაიდო გამოკვლევების ანგარიში და რეკომენდაციები იმერული მუხის აღდგენასთან დაკავშირებით; აღნიშნულის საფუძველზე შემუშავდა მეთოდიკები იმერული მუხის აღსადგენად.


5 ივნისს გარემოს დაცვის დღესთან დაკავშირებით, სამინისტროს და დეპარტამენტის ინიციატივით, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში მოეწყო აქცია, სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსულმა ბავშვებმა მოინახულეს ეროვნული პარკის საგანმანათლებლო ბილიკი.

დაცულ ტერიტორიებზე დაფიქსირებულია 212 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი მათ შორის:

- 135 ხე-ტყის უკანონო ჭრაზე მოცულობით 259,75 კმმ,
- 22 შემთხვევა თევზაობაზე,
- 23 შემთხვევა - ძოვების ფაქტები,
- 12 უკანონო ნადირობის შემთხვევაზე,
- 18 რეჟიმის დარღვევაზე,
- 12 შემთხვევა ვიზიტორთა არასაგანმანათლებლო მიზნით დაშვება.

- აღნიშნულ სამართალდარღვევის შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანი შეადგენს 24 548,53 ლარს. სისხლის სამართლის საქმე აღძრულია 12 ფაქტზე. დღევანდელი ინფორმაციით დაცული ტერიტორიებიდან სულ გაცემულია 11 446 კმმ საშეშე მერქანი.

2007 წელს ვიზიტორთა რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე სტატისტიკის მიხედვით, წინა წელთან შედარებით, თითქმის 160%-ით გაიზარდა.



WWF Caucasus PO-ს მხარდაჭერით მიმდინარეობს მტირალას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის მომზადება და ინფრასტრუქტურის მოწყობის საპროექტო-გეგმარებითი სამუშაოები; მზადდება მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონის განვითარების პროექტი;

“ბიომრავალფეროვნების დაცვის პროგრამა სამხრეთ კავკასია–”ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში” (KFW)-პროგრამის ფარგლებში KFW-ს სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით ჩატარდა ტენდერი საკონსულტაციო მომსახურებაზე და შეირჩა გამარჯვებული-WWF Germany; ტრანსსასაზღვრო/რეგიონალური პროექტების კოორდინირების მიზნით შეიქმნა ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნო;

ამერიკის შინაგანი დეპარტამენტის ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში USDoI International Technical Assistance Program განხორციელდა სასწავლო-საინფორმაციო ტური აშშ-ში, ხელი მოეწერა მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობაზე კოლხეთისა და იოსემიდის დაძმობილებულ ეროვნულ პარკებს შორის; შემუშავდა მოდულები სასწავლო ცენტრისთვის, მომზადდა რეკომენდაციები დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ კანონისთვის .

მიზნობრივი პროგრამა „ეკოტურიზმის განვითარება“ ფარგლებში დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო მეცხრე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე, სადაც წარმოდგენილი იქნა ხუთი დაცული ტერიტორია, კერძოდ: ბორჯომ-ხარგაულის ეროვნული პარკი, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები, თუშეთის დაცული ტერიტორიები, ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი და ალკვეთილი, კოლხეთის ეროვნული პარკი, ქობულეთის დაცული ტერიტორიები, აგრეთვე ბაწარა-ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალში არსებული იშვიათი ენდემური სახეობების ფოტო-მასალა. აღნიშნული ამოფენა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, მონაწილე ტუროპერატორებმა დიდი ინტერესი გამოხატეს არსებულ ტურისტულ მარშრუტებთან დაკავშირებით, გარდა ამისა, დეპარტამენტმა გამოფენის ორგანიზატორებისაგან მიიღო სერტიფიკატი, სტენდების საუკეთესო დიზაინისათვის.

დამტკიცდა პროგრამა „დაცული ტერიტორიების ხანძარსაწინააღმდეგო და მავნებლებისაგან დაცვის ღონისძიებები“; პროგრამის ფარგლებში სახანძრო ინვენტარის შესაძენად ჩატარდა ფასთა კოტირების პროცედურა, სადაც გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ტესი“ და შექმნილ იქნა 25 ერთეული ხანძარსაწინააღმდეგო ტანსაცმელი, რომელიც დაურიგდა ტერიტორიულ ორგანოებს. ასევე გაფორმდა ხელშეკრულება შპს „მბს“-თან რომელმაც მოგვაწოდა 15 ერთეული ბინოკულარი, რომელიც დაურიგდათ ტერიტორიულ ორგანოებს სხვადასხვა კვლევების განსახორციელებლად.

შექმნა კომისია საქართველოს დაცული ტერიტორიების სტატუსთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობდნენ IUCN-ის, არასამთავრობო ორგანიზაციების “GCCW“-ის, “NACRES“-ის წარმომადგენლები. კომისიამ თითოეული ტერიტორიის დათვალიერების შემდგომ მოამზადა მასალები ალგეთის, ყაზბეგის, კინტრიშის, აჯამეთის, ლიახვისა და მარიმჯვარის სახელმწიფო ნაკრძალების სტატუსების კანონთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს ალკვეთილების ტერიტორიების სამონადირეო მეურნეობის შესაქმნელად განხორციელდა სავარგულების წინასწარი შესწავლა. შესაბამისად შეირჩა გარდაბნის, იორის, ჭაჭუნას, ილტოსა და კაცობურის ტერიტორიები სამონადირეო მეურნეობების შესაქმნელად. მომზადდა დაცული ტერიტორიების განახლებული რუკები.

## ლიცენზიები და ნებართვები

2007 წელს სამინისტროში ჩატარდა 36 აუქციონი, აქედან 30 – სასარგებლო წიაღისეულის, 1 – ხე-ტყის, 3 – თევზჭერის და 2 – ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და გადაშენების საფრთხის წინაშე

მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის.

ლიცენზიის სახეები	გაცემულ ლიცენზიათა რაოდენობა	აუქციონზე დაფიქსირებული ფასი (ლარი)	სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია	3	7 765 096	600
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია	422	20 091 169	84 400
თევზჭერის ლიცენზია	18	11 918	3 600
ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია	16	0	3 200
ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზია	28	187 063	2 800
ექსპორტის მიზნით თეთრყვავილას ბოლქვებით სარგებლობის ლიცენზია	2	100 025	200
<b>სულ ჯამი</b>	<b>489</b>	<b>28 155 271</b>	<b>94 800</b>

მომზადდა და გაიცა:

- გარემოზე ზემოქმედების ნებართვა-37 ცალი, თითოეულზე მოსაკრებელი 500 ლარი (სულ ბიუჯეტში შევიდა 18 500 ლარი);
- ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალადების ნებართვა-171 ცალი, თითოეულზე მოსაკრებელი 200 ლარი (სულ ბიუჯეტში შევიდა 34 200);
- ზედაპირული წყლის ობიექტებში წყალჩაშვების ნებართვა-110 ცალი, თითოეულზე მოსაკრებელი 200 ლარი (სულ ბიუჯეტში შევიდა 22 000);
- ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიოაქტიური ნივთიერებების, რადიოაქტიური ნარჩენების, მინერალების (წიაღისეულის), რომლებისგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთვული მასალების მიღება, ყველაფრის, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიოაქტიური ნივთიერებებისაგან ან შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიების, ან-ნოუ-ჰაუების ექსპორტის, იმპორტის ან ტრანზიტის ნებართვა- 27 ნებართვა, თითოეულზე მოსაკრებელი 40 ლარი (სულ ბიუჯეტში შევიდა 1080 ლარი);



- ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიოაქტიური ნივთიერებების ან რადიოაქტიური ნარჩენების შექმნის ნებართვა–1 ნებართვა, თითოეულზე მოსაკრებელი 20 ლარი
- “გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ” კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რექესპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა–10 ნებართვა, თითოეულზე მოსაკრებელი 50 ლარი (სულ ბიუჯეტში შევიდა 500 ლარი);
- ნადირობის ნებართვა-ყოველწლიურად დაახლოებით გაიცემა 10 000 ნებართვა, როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ცენტრალური, ასევე რეგიონალური სამსახურების მიერ. თითოეულ ნებართვაზე მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 20 ლარს, აქედან 10 ლარი არის ბუნებრივი რესურსის მოსაკრებელი, ხოლო 10 ლარი სანებართვო მოსაკრებელი. (აქედან სულ მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში შევიდა დაახლოებით 200 000 ლარი)

2007 წელს სულ ბიუჯეტში შევიდა 276 300 ლარი

## სატყეო სექტორი

სატყეო დარგში გატარებული რეფორმის უმნიშვნელოვანესი ამოცანა არის, უკანონო ტყითსარგებლობის მაშტაბების მინიმალიზაცია. ამისთვის დეპარტამენტის სისტემაში ჩამოყალიბდა **მონიტორინგის სამსახური**, რომლის მუშაობაც მიმართულია სახელმწიფო ტყის ფონდის დაცვაზე და უკანონო ტყითსარგებლობის პრევენციაზე და აღკვეთაზე.

არსებითად გამკაცრდა კონტროლი სახელმწიფო ტყის ფონდზე განხორციელებულ არაკანონიერ ქმედებებზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, განხორციელებულია სისტემაში მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ზრდა, რამაც ხელი შეუწყო, როგორც კორუფციის, ასევე უკანონო ტყითსარგებლობის მაშტაბების შემცირებას. კერძოდ, ტყის მცველის (რეინჯერი) შრომის ანაზღაურება 135 ლარიდან გაიზარდა 400 ლარამდე, ხოლო უბნის უფროსის 220 ლარიდან 700 ლარამდე და ა.შ.

ამასთან, მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული „სატყეო სექტორის განვითარების“ პროექტის ფარგლებში შექმნილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა, უნიფორმები, ავტომენქანები, იარაღები, რაციები. ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებათა ფარგლებში შექმნილ

იქნა ტყის მცველებისათვის (რეინჯერებისათვის) ცხენები, ცეცხლმქრობი საშუალებები და ა.შ

მუშაობა მიმდინარეობს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასა და დახვეწაზე, უპირველეს ყოვლისა საქართველოს „ტყის კოდექსის“ გადამუშავებაზე და მის შესაბამისობაში მოყვანაზე მოქმედ საკანონმდებლო ბაზასთან და თანამედროვე მოთხოვნებთან.

„ტყის კოდექსის“ 116-ე მუხლის მოთხოვნათა შესრულების მიზნით უკვე მომზადებულია (ნაწილი კი მომზადების პროცესშია) არსებითად ახალი ტიპის „სპეციალური ჭრისა და მისი განხორციელების წესის შესახებ“, „ხე-ტყის კანონიერად დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტის და მისი გაცემის წესის შესახებ“, „ტყეკაფების გამოყოფის წესის შესახებ“, „ტყის აღრიცხვის წესი“ და ა.შ. ნორმატიული აქტების პროექტები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სისტემის გამარტივებას და ადმინისტრირების მარტივი წესის დამკვიდრებას.

განხორციელდა სატყეო დეპარტემენტში არსებული კარტოგრაფიული მასალის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის **2006 წლის 21 დეკემბრის** (მუხლი 67 პუნქტი 1) ცვლილების შესაბამისად, შემუშავებულ იქნა მთავრობის დადგენილების პროექტი **„ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის განსაზღვრის წესის შესახებ“** რომლის მიზანია ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის ტერიტორიების გადაცემა თვითმმართველობის ორგანოებზე.

შემუშავებულია ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფართობების სავარაუდო ჩამონათვალი, რომლებიც უნდა გადაეცეს თვითმმართველობებს.

ამ ღონისძიებების განხორციელების შედეგად, ხელი შეეწყობა და გამარტივდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის, სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, საშემე და სამასალე მერქნის გაცემის საკითხი. ამასთან, სამართლებრივ რეჟიმში მოექცევა ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწები.

უპრეცედენტო დიდი მასშტაბებით განხორციელდა მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდში ტყეკაფების გამოყოფა მთელი საქართველოს მასშტაბით. 2007/08 ზამთრის პერიოდისათვის დამატებითი ღონისძიებათა შესახებ, მომზადებული იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება, რომელმაც საშუალება მოგვცა დამატებით უზრუნველგვეყო საშემე მერქნით სკოლები, ეკლესიები, ბაღები და რათქმა უნდა ადაგილობრივი მოსახლეობა.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 ნოემბრის №263 დადგენილების შესაბამისად სოფლის მოსახლეობისათვის გათვალისწინებული იქნა ვაუჩერი საჩუქარი „5მ<sup>3</sup> სათბობი შეშა თითოეულ ოჯახს“, რამაც ასევე ხელი შეუწყო ზამთრის პერიოდში მოსახლეობის შეშით დაკმაყოფილებას.

განხორციელების პროცესშია (2008 წლის 19 თებერვალს დაგეგმილი აუქციონი) გქელვადიანი ტყითსარგებლობა. სპეციალური და გენერალური ლიცენზიების გაცემისათვის სატყეო ფართობების და ხე-ტყის პროგნოზული მოცულობის გაანგარიშება შერჩევა მოხდა, არსებულ ტყეთმომწობის მასალებზე დაყრდნობით, შესაბამისი გაანგარიშების საფუძველზე.

სულ აუქციონზე გასატანად გამზადებულია სახელმწიფო ტყის ფონდის 406 278 ჰა. ფართობი, მთლიანად, ყოველწლიურად მოსაპოვებელი პროგნოზული რესურსი შეადგენს 505 165 მ<sup>3</sup>. ტყითსარგებლობის სპეციალური და გენერალური ლიცენზიების გაცემით სახელმწიფო ბიუჯეტში მოხდება დაახლოებით 133 304 529 ლარის მობილიზება.

## სახობალოებასთან ურთიერთობა

1. მოეწყო კონფერენცია თემაზე-“შევინარჩუნოთ საქართველოს ბუნების მრვალფეროვნება”
2. მტკვრის დაცვის დღესათან დაკავშირებით მცხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, მტკვარზე დასუფთავების აქცია მოეწყო.
3. გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში გაიმართა ღონისძიება. სამინისტროსა და პარკის ადმინისტრაციის ინიციატივით, ახალციხის, რუსთავისა და სამაჩაბლოს სკოლის მოსწავლეებმა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკი დაათვალიერეს
4. სამინისტროსა და სამხრეთ-ოსეთის ალტერნატიული ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ სოფელ თამარაშენში წყლის ხარისხის ლაბორატორია და ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური გაიხსნა
5. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის დავით ჩანტლაძის ინიციატივით გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლები კახელ გლეხებს ყურძნის დაკრეფაში დაეხმარნენ..
6. გარემოს დაცვის სამინისტროში დედამიწის დღესთან დაკავშირებით საქართველოს რეგიონების სკოლის მოსწავლეთა ნემუშევრების გამოფენა-კონკურსი “მე და ბუნება” გაიმართა
7. ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო აქცია – “ნუ დააბინძურებ გარემოს”.
8. გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივით, “ცოდნის ქალაქის” მიმდებარე ტერიტორიაზე განაშენიანების აქცია მოეწყო.

9. რიკოთის უღელტეხილის ხარაგაული – ზესტაფონი – ქუთაისის საავტომობილო გზის მონაკვეთზე გაიმართა დასუფთავების აქცია „ნუ დააბინძურებ გარემოს“.
10. ქუთაისში, სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალში, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის ინიციატივით დასუფთავების აქცია „დატოვე ნაკრძალში სისუფთავის კვალი“ გაიმართა.
11. საპატრიარქოში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ და გარემოს დაცვის მინისტრმა ერთობლივ მიმართვას მოაწერეს ხელი წითელ წიგნში შეყვანილი კოლხური ბზის დაცვასთან დაკავშირებით.
12. გარემოს დაცვის მინისტრმა და ს.ს. „მადენეულის“ ხელმძღვანელმა სამინისტროსა და სს „მადნეულს“ შორის გარემოსდაცვითი ღონისძიებების პროგრამის შესრულების შესახებ მემორანდუმს მოაწერეს ხელი.
13. 23 მარტი - მეტეოროლოგიის მსოფლიო დღე. გარემოს დაცვის მინისტრმა და ფინეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ტერპი ჰაკალამ ხელი მოაწერეს საქართველოში გარემოს დაცვის მონიტორინგისა და მენეჯმენტის სისტემების განვითარების შესახებ შეთანხმებას.
14. სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სასარგებლო წიაღისეულის პრეზენტაცია გაიმართა.
15. სამხრეთ კავკასიის წყლის პროგრამის ინიციატივით გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი წყლის ეროვნული კადასტრის საინფორმაციო სისტემის შექმნასთან დაკავშირებით.
16. მცხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, ეროზირებული ნიადაგის აღდგენის მიზნით მოეწყო განაშენიანების აქცია.
17. ბათუმში გარემოს დაცვის მინისტრმა და საქართველოში გრიინოუქ გრუფის ინვესტიციების თავმჯდომარემ ხელი მოაწერეს ურთიერთგანზახულობათა 2 მემორანდუმს სამინისტროსა და შპს “ბათუმი ოილ ტერმინალი ლტდ-ს” და შპს “ბათუმის საზღვაო ნავსადგურს” შორის.
18. სამინისტროს ინიციატივით და გრძელვადიანი ლიცენზიანტების ხელშეწყობით საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ათობით სოციალურად დაუცველ ოჯახს, საბიუჯეტო ორგანიზაციებს, სკოლებსა და საბავშვო ბაღებს სათბობი შემა უფასოდ დაურიგდა.
19. საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს ყველა რეგიონის მოსახლეობისათვის დარიგდა სათბობი შეშის ვაუჩერები.

## საბამოძიებო დეპარტამენტი

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 27 ივლისის №157 დადგენილებით სამინისტროს შემადგენლობაში შეიქმნა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება—საგამოძიებო დეპარტამენტი.

დღემდე საგამოძიებო დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო 259 სისხლის სამართლის საქმეზე.

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია 65 პირი.

აქედან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლითა და სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის 60 პირი, 332-ე მუხლით-1 პირი, 220-ე მუხლით-1 პირი, 342-ე მუხლით 1 პირი. ერთი პირის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა სსკ-ის 28 მუხლის პირველი ნაწილის ”ა” ქვეპუნქტით.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება—გირაოს სახით შეფარდებულმა თანხამ 300.000 ლარი შეადგინა.

გარემოზე მიყენებული ზიანი 121470, 59 ლარის ოდენობით ანაზღაურებულია, მიმდინარეობს დარჩენილი თანხების ამოღება.

სამი პირის მიმართ გამოცხადდა ძებნა .

14 სისხლის სამართლის საქმეზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

34 სისხლის სამართლის საქმე საბრალდებო დასკვნით წარიმართა სასამართლოში-დანარჩენ საქმეებზე კი მიმდინარეობს გამოძიება.

## ბარემოსდაცვითი პოლიტიკა და საქრთაშორისო ურთიერთობები

2007 წელს მომზადდა 2008-2011 წლების საშუალოვადიანი დაგეგმვის (MTEF) დოკუმენტი, სადაც განისაზღვრა ოთხი ძირითადი პრიორიტეტი:

- სატყეო სექტორის მართვის საჯარო კერძო პარტნიორობის (PPP) მოდელის დანერგვა;
- დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და ეკოტურიზმის განვითარება;
- ნარჩენების მართვის სისტემის რეფორმა;
- წყლის რესურსების სააუზო მართვის სისტემაზე გადასვლა.

აღნიშნული პრიორიტეტების ფარგლებში დაიგეგმა რიგი პროგრამა/ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს ჩარჩო კანონის “გარემოს დაცვის შესახებ” შესაბამისად, მომზადდა გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის (NEAP) პროექტი, რომელიც წარედგინება მთავრობას დასამტკიცებლად.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა საქართველო-ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა 2007 წლის ანგარიში და 2008 წელს დაგეგმილი ქმედებების.

მ/წ 14 იენისს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ხელი მოეწერა “საქართველოს მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოში გარემოს დაცვის მონიტორინგისა და მენეჯმენტის სისტემის განვითარების შესახებ შეთანხმების” პროექტს.

პროექტის საერთო ამოცანებია:

- საქართველოში წყლის მონიტორინგისა და გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემების განვითარება.
- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და გარემოს მონიტორინგზე პასუხისმგებელი სხვა ორგანოების გარემოს დაცვის მონიტორინგისა და მენეჯმენტის მექანიზმების გაძლიერება.

მომზადდა შეთანხმება “საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და ლატვიის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს შორის, გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ”.

## გეოლოგია-კარტოგრაფია და გეოდეზია

მინისტრის 2007 წლის 01 ნოემბრის № ბრძანების საფუძველზე განხორციელდა რეორგანიზაცია, რის შედეგადაც გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახური და გეოლოგიის სამსახური გაერთიანდა და შეიქმნა გეოლოგია-კარტოგრაფიისა და გეოდეზიის სამსახური.

ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ, კარტოგრაფიულ და აეროფოტოგადაღებით სამუშაოებზე 2007 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 150 000 ლარი “საქართველო - სომხეთის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიის 1:10 000 მასშტაბის ქართულენოვანი ციფრული ტოპოგრაფიული რუკის შექმნასთან” დაკავშირებით. ტენდერის საფუძველზე მოხდა გამარჯვებულის გამოვლენა და განხორციელდა სამუშაოები. პირველად შეიქმნა ქართულენოვანი, ციფრული, საერთაშორისო **UTM** და 1942 წლის საკოორდინატო სისტემებში 1:10 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკები საზღვრის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.

მთავრდება სამუშაოები საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საჭვეუწევრო დაწესებულება – გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტსა და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს JICA-ს შორის 2004 წლის 21 დეკემბერს ხელმოწერილი შეთანხმებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე.

2008 წლის თებერვალში დასრულდება და შეიქმნება პირველად ქართულენოვანი ციფრული საერთაშორისო საკოორდინატო UTM სისტემაში 1:50 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკები.

შეიქმნა პროექტით გათვალისწინებული დარგობრივი GIS მოდელები შემდეგ სფეროებში:

1. სატყეო დეპარტამენტი – მოდელის თემა “ტყის მართვა, დაცვა და განაშენიანება”.
2. დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი – მოდელის თემა “ადამიანის ჩარევისაგან დაცვა”.
3. მიწის რესურსების მართვის სამსახური – მოდელის თემა “მიწის პრივატიზაციის შემდეგ მიწის გამოყენების შესაბამისი ალოკაცია”.
4. ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტი – მოდელის თემა “ფუნდამენტური ინფორმაცია ურბანულ დაგეგმარებაში გამოსაყენებლად”.
5. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი – მოდელის თემა “ტურიზმის პოპულარიზაციისათვის კულტურული რესურსების განვითარება”.
6. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – მოდელის თემა “ადამიანური რესურსების ჩათვლით საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სასარგებლო ინფორმაციის შეთავაზება”.

აიგეგმა წითელი ხიდის მონაკვეთზე 1:500 და 1:2 000 მასშტაბში ტერიტორია და დატანილ იქნა სახელმწიფო საზღვრის ხაზი.

სოფ. ბურუნქოვაკის მიმდებარე ტერიტორიაზე (აზერბაიჯანი) სკანირებულ იქნა სასაზღვრო ზოლში ძველი არსებული რუკები 1:5 000 მასშტაბში 1963 წლის საკოორდინატო სისტემაში, ასევე გეორეფერენცირებულ და გადაანგარიშებულ იქნა 1942 წლის საკოორდინატო სისტემაში. ასევე დადგინდა პარამეტრები ამ ტერიტორიისთვის.

სამინისტროს წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისის ახალი ადმინისტრაციული საზღვრის სადელიმიტაციო სამუშაოებში. ასახული იქნა ახალი ადმინისტრაციული საზღვარი მორიგე საცნობარო რუკაზე 1:100 000 მასშტაბში.

სამსახურმა შექმნა ქართულენოვანი ციფრული სტანდარტები და სიმბოლოები ციფრულად 1:50 000 და 1:10 000 მასშტაბში.

სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის მოდერნიზაციასთან დაკავშირებით მოხდა საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე 1:500 მასშტაბის

გეგმაზე სახელმწიფო საზღვრის ხაზის ადგილზე მონიშვნა, გეგმაზე დატანა და ნახაზის კონვერტირება სასაზღვრო კოორდინატთა სისტემაში.

საქართველო-თურქეთის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის პროექტირებასთან დაკავშირებით ადგილზე შეიქმნა სახელმწიფო საზღვრის ხაზის გადაკვეთის წერტილი თურქ სპეციალისტებთან ერთად.

მორიგე-საცნობარო ტოპოგრაფიული რუკებიდან 1:100 000 მასშტაბში განხორციელდა ადმინისტრაციული საზღვრების ციფრირება (ვექტორიზაცია) 1942 წლის საკოორდინატო სისტემაში.

საქართველო-სომხეთის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიისთვის ფასთა კოტირების მეთოდით შესყიდულ იქნა სატელიტური სურათები (1 მეტრი რეზოლუციის).

კომპანია “ალტა სოფტვიერ“-თან ერთად შეიქმნა პროგრამული უზრუნველყოფა **SQL სერვერ**-ში, რომელიც ითვალისწინებს ციფრული გეოდეზიურ-კარტოგრაფიული მასალის ავტომატიზაციას და სისტემატიზაციას. ციფრული ინფორმაციის შეყვანის შემდეგ ამ პროგრამის დახმარებით ადვილი იქნება ნებისმიერი ინფორმაციის მოძიება.

შეიქმნა 1:100 000 მასშტაბის თემატური ციფრული რუკები კოლხეთის ეროვნული პარკის უბნების ანაკლია-ჭურის, ნაბადას, იმნათის, ნარიონალის, ეწერი-დიხაგუძუბას საკომპენსაციო ტერიტორიებზე, დაანგარიშებულ იქნა მათი ფართობი და კოორდინატები.

მომზადდა პროგრამების „საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური შესწავლა, მინერალური ნედლეულის ბაზის შეფასება და წიაღის სახელმწიფო ფონდის ფორმირება“ პროექტები.

საქართველოს საპატრიარქოს წარედგინა ინფორმაცია მიწისქვეშა წყლების მნიშვნელობისა და გამოყენების შესახებ.

მომზადდა პროექტი „გეოლოგიური ძეგლების აღნუსხვა, რუკაზე დატანა და გეოტურიზმის განვითარების პერსპექტივები“.

მომზადდა სასარგებლო წიაღისეულის საბადოების მარაგების ორი სახელმძღვანელო დოკუმენტი – „მყარი სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა მარაგებისა და პროგნოზული რესურსების კლასიფიკაცია“ და „მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო მარაგების და პროგნოზული რესურსების კლასიფიკაცია“.

**ISCG** “საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭო გლობალური რუკათშექმნისათვის” პროექტის ფარგლებში მომზადდა და გაიგზავნა 1:1 000 000 მასშტაბის ციფრული ინგლისურენოვანი რუკები გეომონაცემთა ბაზაში. გეომონაცემთა ბაზა მოიცავს 8 ფენას: საზღვრები, სატრანსპორტო ქსელი, ჰიდროგრაფიული ქსელი, დასახლებული პუნქტები, რელიეფი, მცენარეული საფარი, მიწათსარგებლობა და მიწის საფარი (ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე [www.iscgm.org](http://www.iscgm.org))



საერთაშორისო პროექტის ფარგლებში (**SALB**) “მეორადი დონის ადმინისტრაციული საზღვრები” მომზადდა ინფორმაცია საქართველოს მეორადი დონის ადმინისტრაციული საზღვრების შესახებ. ინფორმაცია მოიცავს 1:100 000 მასშტაბის ციფრული რუკას გეომონაცემთა ბაზით და Excel-ის ფაილს, რომელიც მოიცავს 1991-2007 წლის ყველანაირ ცვლილებას ადმინისტრაციული ერთეულის დონეზე (ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე [www.who.int/whosis/gis/salb/salb\\_home.htm](http://www.who.int/whosis/gis/salb/salb_home.htm) )

## კანონშემოქმედება

2007 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა სამინისტროს მიერ მომზადებული შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

1. „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი;
2. „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი;
3. „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი
4. „გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი
5. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი
6. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი
7. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი
8. ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ საქართველოს კანონი
9. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი;
10. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი

11. „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონი
12. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი
13. თბილისის ეროვნული პარკის შესახებ” საქართველოს კანონი
14. „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონი
15. „ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონი
16. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონი
17. „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონი
18. „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონი
19. „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;
20. „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;
21. „მტირალას ეროვნული პარკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“
22. „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლავოდუხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.
23. „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონი
24. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ” საქართველოს კანონი
25. „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონი
26. „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ” საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონი
27. „გარემოს დაცვის სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონი
28. „იარაღის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონი
29. „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი

30. ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონი.

შემუშავებულია და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილია შემდეგი საკანონმდებლო აქტების პროექტები:

1. „გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის პროექტი
2. „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტი
3. „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის პროექტი

სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადებულია:

- საქართველოს პრეზიდენტის 8– ბრძანებულება;
- საქართველოს მთავრობის 31 დადგენილება;
- საქართველოს მთავრობის 10 განკარგულება;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 58 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.

## გარემოს მონიტორინგი და პრობნოზირება

2007 წლის განმავლობაში გარემოს დაბინძურების მონიტორინგის სფეროში განხორციელდა შემდეგი სახის:

### *ზედაპირული წყლის მონიტორინგი*

საქართველოს ტერიტორიაზე ზედაპირული წყლის დაბინძურების მონიტორინგი სრული პროგრამით ტარდებოდა 23 მდინარის 49 პუნქტში, 3 ტბაში და 1 წყალსაცავში.

სინჯების აღება ხორციელდებოდა სხვადასხვა სიხშირით გამომდინარე წყლის დაბინძურების ხარისხიდან და მდინარეების კატეგორიების მიხედვით. აღებულ სინჯებში ისაზღვრებოდა ყველა ძირითადი იონები (კათიონები და ანიონები), ბიოგენური ელემენტები, არაორგანული კომპონენტები და მძიმე ლითონები, ხოლო 8 პუნქტში ტარდებოდა გრანულომეტრიული ანალიზები. სულ ჩატარდა 7683 ანალიზი.

სოფ.თამარაშენში გაიხსნა წყლის მონიტორინგის ლაბორატორია, სადაც დამონტაჟდა ანალიზების ჩატარებისათვის აუცილებელი ხელსაწყო-დანადგარები.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) რეგიონალური პროგრამის “სამხრეთ კავკასიის წყლის პროგრამა” ფარგლებში მიმდინარეობდა წყლის ხარისხის მონიტორინგის სამუშაოები ტრანსსასაზღვრო რეგიონებში, მონაცემთა ელექტრონული ბაზების შექმნა, წყლის რაოდენობისა და ხარისხის შესახებ მონაცემებთა გაცვლა სამივე ქვეყანას შორის.

#### **შავი ზღვის დაბინძურების მონიტორინგი**

2007 წელს UNDP/GEF პროექტის “შავი ზღვის პილოტ-მონიტორინგი” ფარგლებში განხორციელდა ექსპედიცია შავ ზღვაზე. ხუთ წერტილში, ხუთ სიღრმეზე აღებული იქნა ზღვის წყლის სინჯები, განისაზღვრა ნუტრიენტები. შეფასდა ზოოპანქტონი, ზოობენტოსი და ფიტოპლანქტონი.

#### **ატმოსფერული ნალექების მონიტორინგი**

2007 წლის განმავლობაში დეპარტამენტში 11 ქალაქიდან (ფოთი, ბათუმი, ქუთაისი, ზესტაფონი, ახალციხე, ბორჯომი, ბაკურიანი, ბოლნისი, გორი, თბილისი, თელავი) შემოვიდა ატმოსფერული ნალექების 101 სინჯი. ჩატარდა 1111 ანალიზი.

#### **• ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი**

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვება ხორციელდებოდა საქართველოს ოთხ ქალაქში (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ზესტაფონი).

2007 წლის განმავლობაში თბილისში ატმოსფერული ჰაერის ლაბორატორიაში შემოვიდა 2907 სინჯი, რომელშიც განისაზღვრა ხუთი დამაბინძურებელი ინგრედიენტი: ნახშირჟანგი, მტვერი, აზოტის დიოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი და ტყვია. სულ 2765 ანალიზი.

2007 წელს ნორვეგიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით აბასთუმანში მოეწყო ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვების ფონური სადგური ევროპული სტანდარტების შესაბამისი.

#### **რადიოაქტიური მდგომარეობის მონიტორინგი**

2007 წლის განმავლობაში რადიოაქტიური დაბინძურების შესახებ ოპერატიული ინფორმაცია შემოდიოდა 16 სადგურიდან: ბათუმი, ფოთი, ქობულეთი, ქუთაისი, საჩხერე, ზესტაფონი, ახალქალაქი, ფარავანი, ახალციხე, გორი, თბილისი, წალკა, თელავი, ფასანაური, ლაგოდეხი, დედოფლისწყარო.

მიწისპირა ატმოსფერულ ჰაერში γ-გამოსხივების ექსპოზიციური დოზის სიმძლავრის სიდიდე იყო 7 მკრ/სთ-დან 21 მკრ/სთ-მდე ფარგლებში, რაც დედამიწის ბუნებრივი რადიაციული ფონის ფარგლებშია.

#### **• ელექტრომაგნიტური ენერჯის ნაკადის სიმკვრივის გაზომვები**

2007 წელს შესრულდა ელექტრომაგნიტური ენერჯის ნაკადის სიმკვრივის გაზომვები 12 პუნქტში. გაზომვების შედეგების მიხედვით ელექტრომაგნიტური ნაკადის სიმკვრივის მნიშვნელობა არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ დონეს.

#### **• სამრეწველო-ეკოლოგიური მონიტორინგი**

2007 წლის ჩატარდა 17 სამრეწველო ობიექტის მონიტორინგი. მათ შორის: ფოთის საზღვაო პორტი, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, შპს „ინვესტი-ჯგუფი 2000“-ის დედოფლისწყაროს კირის წარმოება, ბაზალეთის

ტბის დასასვენებელი კომპლექსი, ბაქო-სუფსა ნავთობსადენის 79-ე ნიშნული, გარდაბნის რაიონში რამდენიმე გაჯის წარმოება და სხვა.

მომზადდა ნაპირსამაგრი და წყალდიდობის პრევენციის სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო პროექტები, კერძოდ ზღვისა და მდინარეების სანაპიროების ავარიულ უბნებზე დაპროექტდა და ჩატარდა შემდეგი სახის ნაპირდაცვითი სამშენებლო სამუშაოები:

რეგულარულად დგებოდა მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი საერთო და სპეციალიზირებული დანიშნულების (საზღვაო, თოვლის ზვაკების, აგრომეტეოროლოგიური) ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზები. საჭიროების შემთხვევაში მზადდებოდა გაფრთხილებები მოსალოდნელი საშიში და სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ;

შემუშავდა და დაინერგა ყოველდღიური ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციული ბიულეტენის განახლებული ფორმატი, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში მიეწოდებოდა ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს, დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე მასმედიის საშუალებებს;

რეგულარულად ტარდებოდა ექსპედიციური სამუშაოები ქვეყნის მთიან და მაღალმთიან ზონაში წლის ცივ პერიოდში შექმნილი თოვლის მარაგის შეფასების, მდინარეებზე წყლის ხარჯის გაზომვის და ცალკეულ მდინარეთა აუზებში წყალდიდობისა და წყალმოვარდენებისადმი მოწყვლადი რეგიონების გამოვლენის მიზნით;

კლიმატის ცვლილების კონვენციის მიმართ მეორე ეროვნული შეტყობინების მომზადების მიზნით, გაანალიზდა ბოლო 50 წლის განმავლობაში ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების მონაცემები და შესწავლილ იქნა სხვადასხვა პარამეტრების ექსტრემალური მნიშვნელობების, ინტენსივობის და გამეორებადობის ცვალებადობა; ზემო აფხაზეთის რეგიონში გაიხსნა და სათანადო ხელსაწყო-დანადგარებით აღიჭურვა 5 სადამკვირვებლო პუნქტი.

კლიმატის ცვლილების შედეგად სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებისადმი განსაკუთრებით მოწყვლად რეგიონში (რაჭის რეგიონი), ამ მოვლენებით გამოწვეული მასაძლო უარყოფითი შედეგებისაგან მოსახლეობის დასაცავად გაფრთხილების ეფექტური სისტემის შექმნის მიზნით, მომზადდა სისტემის ჩამოყალიბებისათვის საჭირო ღონისძიებების ტექნიკური დავალებები. ამჟამად მიმდინარეობს ამ რეგიონში 4 ჰიდრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო პუნქტისათვის საჭირო გამზომი საშუალებების შეძენის სამუშაოები;

USAID-ის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის ფარგლებში, ტრანსსახელმწიფო მდინარეებზე (ქცია, ალაზანი, დებედა) რეგულარული დაკვირვებების უზრუნველყოფის მიზნით მომზადდა 3 სამდინარო ჰიდროლოგიური დაკვირვების პუნქტის ორგანიზების პროექტი. ამჟამად

მიმდინარეობს ამ პუნქტებზე ავტომატიზებული გამზომი საშუალებების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;

2007 წლის სექტემბერში საქართველოში იმყოფებოდა WMO -ს ექსპერტი, რომელმაც შეიმუშავა წინადადებები თბილისის მეტეოროლოგიური სადგურის სრული მოდერნიზაციის განხორციელების მიზნით (სადგური ჩართულია კლიმატურ მონაცემთა გლობალურ ქსელში). ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები სადგურისათვის თანამედროვე გამზომი საშუალებების შესაძენად. სავარაუდოდ 2008 წლის გაზაფხულზე დასრულდება სადგურის გადაიარაღების სამუშაოები;

2008 წლის დასაწყისში საქართველოში ეწვევიან WMO -ს და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები, რომლებიც ადგილზე გაეცნობიან საქართველოში ავიაციის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის სფეროში არსებულ მდგომარეობას და შეიმუშავენ წინადადებებს ამ სფეროში არსებული სერიოზული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. შემდგომ შედგება პროექტი თბილისის და შესაძლოა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში ავიამეტეოროლოგიური სადგურების გადაიარაღებისათვის.

## სივრცული ინფორმაცია

წიაღის შესახებ ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო ფონდში არსებული ინფორმაციის საფუძველზე იქმნება ელექტრონული არქივი, მიმდინარეობს საბადოებისა და მადანგამოვლინებების პასპორტიზაცია და კადასტრი თანამედროვე მონაცემთა ბაზების GIS –ის ტექნოლოგიებზე დაყრდნობით.

მომზადდა 14 საბადოს შესახებ საპრივატიზაციო პაკეტი, რომელიც ნათელი მაგალითია იმის, თუ როგორ მოხდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 1550-მდე საბადოსა და გამოვლინების შესახებ გეოლოგიური ინფორმაციის მომზადება. აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა ბუკლეტებსა და დიკებზე, რომელთა განზოგადება მოხდა ქ. ლონდონში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, წიაღისეულის ინვესტირების მსოფლიო კონგრესში.

მიმდინარეობს ლიცენზირებულ ობიექტებთან ერთად, სახელმწიფო სახსრებით შედგენილი სხვადასხვა თემატური რუკების, აეროფოტოსურათების შეგროვება და მონაცემთა ბაზების ფორმირება შემდგომში ინტრნეტში ვებ. გვერდზე განთავსების მიზნით.

სსიპ სივრცული ინფორმაციის ცენტრი საანგარიშო პერიოდში, ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებდა სალიცენზიოდ, აუქციონზე გასატანი ობიექტების აგეგმვას, ტოპოგრაფიული რუკების დამზადებას,

გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებას და სასარგებლო წიაღისეული  
საბადოსა და გამოვლინების არსებობა-არარსებობის დადგენას.